კონსტრუქციული დასკვნა

ობიექტი: სააქციო საზოგადოება "კ.ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი"-ს რეკონსტრუქციის პროექტი

საგანი: არსებული შენობის ტექნიკური მდგომარეობა და მასზედ ჩასატარებელი სამუშაოების მიზანშეწონილობა

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების მიხედვით არსებული 6 სართულიანი შენობა ცალკემდგომი, წერტილოვანი საძირკვლებით დაფუძნებულია კენჭნაროვან გრუნტზე. შენობის მზიდი სივრცული კარკასი წარმოდგენილია გასული საუკუნის მეორე ნახევარში გავრცელებული იის-04 სეისმომედეგი ანაკრები კონსტრუქციის სვეტებით და რიგელებით, რომლებისთვის ჰორიზონტალური მყარი დისკი იქმნება იმავე სერიის ანაკრები ღრუტანიანი გადახურვის ფილებით.

აღნიშნული შენობის რეკონსტრუქცია არქიტექტურული ხასიათისაა – არ ხდება დაშენება, გადახურვების გაბარიტების მომატება, კონსოლების მოწყობა, ახალი დამატებითი მასების შექმნა და სხვა ზემოქმედება მზიდ კონსტრუქციულ ელემენტებზე. ამავე დროს, არქიტექტურული გადაწყვეტით იგეგმება შენობაზე მიდგმული 1 სართულიანი პორტალის (ყოფილი მიმღები) დემონტაჟი. ეს მიშენება არ იმყოფება კონსტრუქციულ კავშირში ძირითად შენობასთან და განცალკევებულად დაფუძნებულია 4 სვეტიანი კონსტრუქციებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა: 6 სართულიან შენობაზე არ ხდება კონსტრუქციული ზეგავლენა, ვიზუალური დათვალიერებით არ ვლინდება მნიშვნელობის მქონე ხარვეზი და გადახრა, შენობის არსებული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და არ მოითხოვს დამატებით ინსტრუმენტალურ კვლევებს – *საპროექტო გადაწყვეტებით ჩასატარებელი სამუშაოები არ მოახდენს უარყოფით გავლენას მის მდგრადობაზე და მზიდუნარიანობაზე.*

მშენებლობის ინჟინერ-კონსტრუქტორი;
რეგისტრირებული ექსპერტი; ტ.მ.დ. ე. წოწერია

თბილისი 02-2016